ზაფხულში საქონელი ივლის საძოვარზე და დამატებითაც მიეცემათ გათიბული მწვანე ბალახი.

<u>ზაფხულის კვება იქნება შემდეგნაირი:</u>

მწვანე მასა + კომბიკორმა.

<u>ზამთრის კვება:</u>

სილოსი ან სენაჟი + თივა + კომბიკორმა.

საქონლის წველა მოხდება საწველ მოედანზე, სადაც შესაძლებელი იქნება ერთდროულად 10-14 ძროხის მოწველა.

5. *<u>მარკეტინგის გეგმა.</u>*

საქონლის წველადობას ვგეგმავ შემდეგნაირად.

ძროხების მესამე მოგების შემდეგ, ერთ სულზე წელიწადში იქნება 4500-5000 ლიტრა, შემდეგი ყოველწლიური მატებით არა მარტო კვების და მოვლის ხარჯზე, არამედ ჯიშობრივად გაუმჯობესების ხარჯზე. ეს მოხდება როგორც საქონლის ხელოვნური განაყოფიერებით, ასევე მოწინავე ქვეყნებიდან საქონლის შემოყვანის ხარჯზე.

საქონლის წველადობა პერსპექტივაში, უახლოეს 7-8 წელში ვგეგმავ 8000-9000 ლიტრს წელიწადში.

ასეთი მაღალი წველადობა იქნება მიღწეული მყარი საკვები ბაზის შექმნით და საქონლის მოვლის ტექნლოგიის დახვეწით.

მიღებული ნედლეული, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება გაიყიდოს რძის სახით, ამავე დროს გადამუშავდეს და გაიყიდოს ყველის, ხაჭოს, ნადუღის, კარაქის სახით.

დაიდება ხელშეკრულებები მსხვილ და საშუალო სასურსათო მაღაზიებთან, რესტორნებთან, კაფეებთან, სასტუმროებთან, რომელთაც უშუალოდ ადგილზე მივაწვდით ყველს და სხვა პროდუქტებს, საჭიროების შემთხვევაში დაფასოებულს ეტიკეტით.

კლიენტებისათვის გათვალისწინებული იქნება ფასდაკლება გაყიდვების რაოდენობის მიხედვით. მიეწოდებათ ინფორმაცია მეურნეობის როგორც ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ.

5.1. ბაზრის ანალიზი.

ქართულ ბაზარზე, არის დიდი მოთხოვნლება ნებისმიერ რძის პრდუქტზე. როგორც უმ რძეზე, ასევე გადამუშავებელზე ნებისმიერით ხახით. რაც მთავარია პროდუქცია უნდა იყოს ნატურალური, მაღალი ხარისხის რძით დამზადებული.

ბოლო წლების ტენდენციით, რძის პროდუქტებზე ფასები არის ინტენსიურად მზარდი. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, რძეზე და რძის პროდუქტებზე ფასები გაიზარდა 100% წლის ნებისმიერ პერიოდზე გადაანგარიშებით. დღეისთვის, 1 ლ. რძის შესყიდვის ფასი არის 1 ლარი.

5.2. ფასწარმოქმნა

I წელი

პირველ წელს ჩასატარებელი ოპერაციების გეგმა.

მიწის ყიდვა, მიწის დათესვა სხვადასხვა საკვები კულტურებით, ნაწილი ითესება გაზაფხულზე, ნაწილი შემოდგომაზე, ტექნიკის ყიდვა, ფერმის მშენებლობა, 20 სული მეწველი ძროხის ყიდვა.

1. მიწის ყიდვა 270000 ლარი;
   მიწის ყიდვა შეიძლება ნაწილ-ნაწილ ეტაპობრივად.
2. გაზაფხულზე 25 ჰა მიწის დათესვა ბალახოვანი კულტურით (იონჯით) საძოვრად და სათიბად, ასევე თივისთვის.
   8 ჰა მიწის დათესვა სასილოსედ.
   1 ჰა დახვნა დათესვა ჯდება 600 ლარი.
   33 ჰა X 600 = 19 800 ლარი.
3. სასოფლო ტექნიკის ყიდვა 60 000 ლარი.
4. გაზაფხულზე 20 სული მეწველი ძროხის ყიდვა, ბალახოვანი კულტურის ამოსვლის შემდეგ – 30 000 ლარი.
5. ფერმის მშენებლობა – 100 000 ლარი.
6. ინვენტარის ყიდვა ეტაპობრივად – 20 000 ლარი.
7. სასილოსე მასის აღება და სილოსის დამზადება.
   სასილოსე ორმოს გაკეთება – 2 000 ლარი.
   სასილოსე მასის გათიბვა და გადაზიდვა 3-5 კმ-ზე, შემდგომ ჩადება და გატკეპნა.
   დიზელი 8 ჰა გასათიბად 80 ლიტრა.
   დიზელი გათიბული მასის გადასაზიდად 500 ლტ.
   დიზელი ჩადებული სილოსის გასატკეპნად 100 ლტ.

ჯამში 700 X 2.1 = 1 470 ლარი.

ხელფასი სასლოსე მასის ტრანსპორტირებისათვის 2-3 დღეში – 500 ლარი.

ხელფასი სილოსის გასატკეპნად ტრაქტორისტს – 500 ლარი.

გაუთვალისწინებელი ხარჯი – 270 ლარი

სილოსის ორმოს გადახურვა პლიონკით და ზევიდან სიმძიმით – 300 ლარი.

ჯამში სილოსის ჩადებაზე გაწეული ხარჯის რაოდენობა – 5 040 ლარი.

8. თივის ტუკის დამზადება.

ნათესი ბალახის გათიბვა 18 ჰა-ზე.

სალიარკა გასათიბად 18 X 7 = 126 ლარი

სალიარკათივის ტუკის გადმოსაზიდად ნაკვეთიდან – 260 ლიტრი.

ჯამში სულ 600 ლიტრი X 2.1 = 1 260 ლარი.

ხელფასი მემანქანეს ტუკის გადმოზიდვაში – 500 ლარი.

ძაფი ტუკის შესაკვრელად 7 რულონი X 80 = 560 ლარი.

ტუკის დადგმა – 1 800 ლარი.

სულ ჯამში დასატუკი თანხა შეადგენს 4 620 ლარს.

9. დიზელი ყოველდღიურად გასათიბად, ადგილზე მისატანად და საქონლისათვის დასაყრელად ზაფხულის პერიოდში.

2 ლიტრი X 150 დღეზე = 300 ლიტრი X 2.1 = 630 ლარი

10. ფერმაში დასაქმებული მუშა ხელის რაოდენობა და მათი ხელფასი:

მათი ხელფასი:

მწველავი 1 – 300 ლარი;

მწყემსი 1 – 300 ლარი;

მექანიკოსი 1 – 300 ლარი;

ვეტექიმი 1 – 300 ლარი.

სულ ერთ თვეში გასაცემი ხელფასი 1 200 ლარი.

წელიწადში – 14 400 ლარი.

11. გაუთვალისწინებელი ხარჯი – 3 000 ლარი.

12. შემოდგომაზე მიწის დამუშავება მარცვოვანი და ბალახოვანი კულტურების დასათესად.

1 ჰა – დათესვა ჯდება 600 ლარი

600 X 67 = 40 200 ლარი.

13. შემოდგომაზე 80 სული დეკეულის ყიდვა – 70 000 ლარი.